საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კვირია“

„კვირია“, წარმართულ ღვთაება კვირიასთან დაკავშირებული საწესო სიმღერა-საგალობელი სვანეთში. კვირიას ხსენებითა და სადიდებლით იწყება ყოველი საუფლო ლოცვა. შემსრულებლები სიმღერისას პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებენ. „**კ**-ს“ ასრულებენ კვირიკობისა და მურყვამობის დღესასწაულებზე დროშის გამოსვენებისა და უკან შებრძანების დროს, აგრეთვე ბედნიერი მიცვალებულისათვის (ასაკოვანი პიროვნება, რ-იც გვარში თავისზე უმცროსის სიკვდილს არ მოსწრებია) და კარგი ამინდის გამოსათხოვად (კვირიოლა).

ლიტ.: გ ა ბ ი ს ო ნ ი ა თ., პირველად ღმერთი ვახსენოთ (ქრისტიანობა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში), «მუსიკა», 2012, №3; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.

ნ. კალანდაძე